თელავის ი. გოგებაშვილისს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ინგლისური ენის ისტორია**

**სილაბუსი**

**ფაკულტეტი:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
**კათედრა:** უცხო ენებისა და ლიტერატურის კათედრა;
**სალექციო კურსის დასახელება და მისი კოდი: ინგლისური ენის ისტორია**

**კრეიტების რაოდენობა:** 5 ECTS
**სალექციო კურსის სტატუსი:** სავალდებულო-არჩევითი
**პოფესორი:** მანანა ღარიბაშვილი

manana_garibashvili@yahoo.com
mob: 877478662

**სალექციო კურსის აღწერა:** აღნიშნული კურსი იკითხება პედაგოგიური ფაკულტეტის ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის მაგიტრატურის სტუდენტებთან. კურსს მინიჭებული აქვს სავალდებულო-არჩევითი კურსის სტატუსი და მოიცავს 5 კრედიტს.

**სალექციო კურსის მიზანი და ამოცანები:** ინგლისური ენის განვითარების, მისი ფორმირების შესწავლა. აღნიშნული ენის მანძილზე ამ ენის ენობრივი, ფონეტიკური, ლექსიკური ცვლილებების ანალიზი და ამ ცვლილებების გამომწვევი მიზეზების შესწავლა.

**სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა:** აღნიშნულ კურსს პრერეკვიზიტი არ გააჩნია

**საექციო კურსის შედეგი:** თანამედროვე ინგლისური ენის ჩამოყალიბება მრავალი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ეს კურსი ახსნის იმ მოვლენებს, რაც საფუძვლად დაედო ენაში მიმდინარე ცვლილებებს. სტუდენტები შეძლებენ გაეცვნენ ინგლისურ ენაში არასტანდარტული მორფოლოგიური წარმონაქმნების წარმოშობას, ინფორმაციას სხვადასხვა ენობრივი თავისებურებების შესახებ. ისინი გაეცნობიან ენის ისტორიას მისი ჩამოყალიბების დღიდან დრემდე.

**კურსის ხანგრძლივობა და განრიგი:** კურსის ხანგრძლივობაა ერთი აკადემიური სემესტრი (15 კვირა). კვირაში ჩატარდება ორი მეცადინეობა (ლექცია და\ან სემინარი). შესაბამისად, სააუდიტორიო საათების რაოდენობა შეადგენს 30 საათს ერთ აკადემიურ სემესტრში.

**სასწავლო კურსის წინაპირობა:** წინაპირობა არ აქვს

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები:

| | ზოგადი | დარგობრივი |
|---|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | გააჩნია ეფექტური სწავლის, სწავლებისა და სათანადო კვლევისათვის აუცილებელი ცოდნა; შეეძლება ამ ცოდნის აქტიური გამოყენება როგორც სწავლებისას, ისე შემდგომი კვლევითი საქმიანობის წარმართვისას; | იცის უცხო ენის სწავლების თეორიები და მეთოდები, რომელთა გამოყენებაც უზრუნველყოფს ეფექტიან სწავლება-სწავლას. იცის თუ როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა სასწავლო პროცესში |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | იცის როგორ გამოიყენოს სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები მოსწავლეთა აქტივობების გაზრდისათვის, შემეცნებითი, სოციალური თუ საკომუნიკაციო უნარების ჩამოყალიბება – განვითარებისათვის | იცის თუ როგორ გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის აქტივობები და სტრატეგიები ინგლისური ენის სწავლების პროცესში |
| **დასკვნის უნარი** | დაგროვილ ცოდნაზე დაფუძნებით ადექვატური ანალიზისა და დასკვნის გაკეთება | ინგლისურ ენის გაკვეთილზე მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის წარმართული დებატებისა და დისკუსიების შეჯამების დროს ლოგიკური დასკვნების გაკეთება |
| **ღირებულებები** | გააჩნია პროფესიულიპრინციპების | ითვალისწინებს და პატივს სცემს |

| | | |
|---|---|---|
| | დაცვისა და სხვებისადმი გაზიარების უნარი; იცნობს უცხოენოვან ფილოლოგიისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს | პედაგოგიკასა და უცხო ენის სწავლების მეთოდიკის დარგში გამოჩენილი სპეციალისტების აზრს; აცნობიერებს ინგლისურენოვან გარემოში ზუსტი და თანადროული მუშაობის აუცილებლობას |

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები:** აღნიშნული კურსის სწავლების დროს გამოყენებული იქნება ლექცია და სემინარი.

**შეფასების კრტიტერიუმები:**

ცოდნის შეფასება 100 ქულიანია შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა

დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა

**შუალედური შეფასებები** მოიცავს შემდეგ სამ აუცილებელ კუმპონენტს:

- **2 შუალედური წერა** (15X2) –მაქსიმუმ 30 ქულა (თითოეული- მაქსიმუმ 15 ქულა). შუალედური წერები ჩატარდება VII და XIV კვირაში. სტუდენტებს მიეცემათ წერითი სამუშაო, რომელშიც შეტანილი იქნება საკითხები განვლილი მასალიდან. წერის ხანგრძლივობა არაუმეტეს 1 საათი.
- **4 ზეპირი გამოკითხვა** (5X4)- მაქსიმუმ 20 ქულა (თითოეული- მაქსიმუმ 5 ქულა). ზეპირი გამოკითხვა ჩატარდება – III, VIII, X და XIII კვირაში. სტუდენტები ზეპირად გასცემენ პასუხს განვლილი მასალიდან დასმულ შეკითხვებს.
- **1 ზეპირი პრეზენტაცია** - მაქსიმუმ 10 ქულა. –XV კვირაში სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციის ცხრილი, რომელიც წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან, შეთავაზებული

თემატიკიდან სტუდენტი თავად აირჩევს პრეზენტაციის თემას. პრეზენტაციის შეფასება განისაზღვრება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა –მაქსიმუმ 4 ქულით
2) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით
3) ვიზუალური საშუალებების გამოყენება– მაქსიმუმ 2 ქულით

**დასკვნითი გამოცდა** – მაქსიმუმ 40 ქულა

დასკვნითი გამოცდა ზეპირია და მოიცავს განვლილ საკითხებს. გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი შუალედურ შეფასებებში მოაგროვებს მინიმუმ 11 ქულას. კრედიტი ენიჭება სტუდენტს მინიმუმ 51 ქულაზე.

თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ ის თვითონ წყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს, რის შესახებაც იგი დროულად აცნობებს ფაკულტეტის დეკანატს.

სემესტრის ბოლოს სტუდენტებს ენიჭებათ შემდეგი შეფასებიდან ერთ-ერთი, იმისდა მიხედვით თუ როგორი წარმატებით გაიარა კურსი:

| | |
|---|---|
| A (ფრიადი) | 91- 100 |
| B (ძალიან კარგი) | 81-90 |
| C (კარგი) | 71-80 |
| D (დამაკმაყოფილებელი) | 61-70 |
| E (საკმარისი) | 51-60 |
| FX (ვერ ჩააბარა) | 41-50 |
| F (ჩაიჭრა) | 0 - 40 |

FX (ვერ ჩააბარა) ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს კიდევ ერთხელ ეძლევა გამოცდაზე დამატებით გასვლის უფლება, ხოლო F (ჩაიჭრა) შეფასების მიღებისას მან ახლიდან უნდა გაიაროს სასწავლო კურსი

## სალექციო კურსის სტრუქტურა:

**I კვირა**
ენის ისტორიის აგების პრინციპები
ცვლილებები ენის სტრუქტურაში
დიაქრონია და სინქრონია ენის ისტორიის შესწავლასი
დიაქრონული ლინგვისტიკის კვლევის ძირითადი მეთოდები

**II კვირა**
შესავალი გერმანიკულ ფილოლოგიაში
ფონეტიკური მოვლენები (ფონოლოგიური სფერო)

ა) სიტყვის მახვილი
ბ) ბ) გერმანიკული კონსონანტიზმი
ც) პირველი ანუ გერმანიკული ბგერათგადაწევა
დ) გერმანიკული ვოკალიზმის თავისებურებანი

**III კვირა**
მორფოლოგიური მოვლენები. სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა ფორმათწარმოების საშუალებანი

**IV კვირა**
მეტყველების ნაწილები და მათი გრამატიკული კატეგორიები

ა) ზმნა
ბ) ძლიერი ძმნები
გ) სუსტი ზმნები
დ) პრეტერიტო-პრეზენსული ზმნები
ე) არასტანდარტული/ანომალური ზმნები
ვ) უღლება

**V კვირა**
არსებითი სახელი
ნაცვალსახელი
ზედსართავი სახელი
რიცხვითი სახელი

**VI კვირა**
ძველი ინგლისურის პერიოდი ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები
ვოკალიზმი (ხმოვანთა სისტემა)
გერმანიკული მოკლე და გრძელი a-ს განშტოება (ე.წ. splitting)

**VII კვირა**

ხმოვანთა ასიმილაციური ცვლილებები
გადახმოვანება (umlaut/mutation)
თანხმოვნები

**VIII კვირა**
თანხმოვნები

**IX კვირა**
საშუალო და ინგლსურის პერიოდისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები
სიტყვის მახვილი
ა) ვოკალიზმი
ბ) კონსონანტიზმი

**X კვირა**

მორფოლოგია
ზმნის მორფოლოგიური კლასიფიკაცია

უღლება
ზმნის უპირო ფორმები

**XI კვირა**
ზმნის ახალი გრამატიკული ფორმების და კატეგორიების განვითარება
მომავალი დრო (Future Tense)
Perfect
გვარის კატეგორია
Continuous-ის ფორმები
ირიბი კილო (Oblique mood)

**XII კვირა**
სახელთა სისტემა არსებითი სახელი
ნაცვალსახელი
ზედსართავი სახელი
ძლიერი ბრუნება და სუსტი ბრუნება
რიცხვითი სახელები
სინტაქსი

**XIII კვირა**
ინდოევროპულ ენათა ნათესაური სიახლოვე და წინარე ენის საკითხები
ძველი გერმანიკული ენები

**XIV კვირა**
საერთო გერმანიკული ლექსიკური სისტემა

ეტიმოლოგია
სიტყვათწარმოება
ინგლისური ენის ისტორიის ქრონოლოგიური მიჯნები
ინგლისური ენის წარმოშობის ისტორიული პირობები

**XV კვირა**
ძველი ინგლისური ანბანი
ძველი ინგლსურის ლექსიკური სისტემა
ნასესხები სიტყვები
სოტყვათწარმოება
სიტყვათსესხება საშუალო ონგლისურში
სესხება ახალ ინგლისურში
სიტყვათწარმოება
ორთოგრაფიულ სისტემაში მომხდარი ცვლილებები

**ძირითადი ლიტერატურა**: კრავეიშვილი, მ. *ინგლისური ენის ისტორია,*

**დამატებითი ლიტერატურა**:

1. ილიში, ბ.ა. ინგლ;ისრი ენის ისტორია
2. სმირნიცკი, ვ. ძველი ინგლსური ენა
3. Mc Dowal, D. An Illustrated History of Britain. Longman 2003
4. Leith, D. A special history of English, London
5. Christian, C. Focus on English-speaking countries. A supplement to focus on Britain today. PHOENIX 1996
6. Harvey, P. & Jones, Ph. Britain explored. Longman 2002